გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



## სასწავლებელი და პანსიონი

## ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—19)


სამშაბათს, 29 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, თავად-აზნაურობის ბანკის სადგომში იქნება ქართულის დრამატიულის საზოგადოების

## წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 2) მოხსენება მმართველობისა მომავალის სეზონის შესახებ, დ 3) არჩევანი ახალის წევრებისა. (3—1)

## ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

სოფ. ზემო გომში (გორის მაზრა) 12 ავადმყოფიდგან მორჩა 8, 19 ენკენისთვეს დარჩა 4; სოფ. ზემო-ჭალაში 12 ენკენისთვეს იყო 3 ავადმყოფი, ავად გახდა კიდევ 1, გარდ. 2, მორჩა 1, 19 ენკენისთვეს დარჩა 1 ავადმყოფი; სოფ. გომში ავად გახდა 7, მორჩა 4, დარჩა 3 ავადმყოფი.

ახალქალაქის მაზრის სოფლებში 18 და 19 ენკენისთვეს ავად გახდა 6, გარდ. 3, მორჩა 2, დარჩა 5; იმავე დროს თვით ქალაქში გარდ 1, დარჩა 1.

ტფილისის მაზრის სოფ. ნორიოში გახდა ავად 6, გარდ. 6; 19 ენკენისთვეს დარჩა 2.

## ახალი ამბავი

*** განჯას ხოლერა მოისპო. მთელს გუბერნიაში 17 სექტემბერს ავად გახდა 76, მორჩა 26, გარდ. 55, ავად არი 73.

ემირ-ხან-შურას ავად აღარავინ არის; ოლქის დანარჩენს ადგილებში 17 სექტემბერს ავად გახდა 12, გარდ. 8, მორჩა 44, ამ ჟამად კიდევ ავად არის 181.

ყარსში 18 სექტემბერს კიდევ ავად გახდა 2, მორჩა 1, ავად იყო 24, გარდ. 2, კიდევ ავად არის 23; ოლქში კვლავ ავად გახდა 24, მორჩა 24, გარდ. 14.

სტავროპოლს 17 სექტემბერს ავად გახდა ხოლერით 3, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 38, გარდ. 28, მორჩა 72.

*** ტფილისში ხუნაგმა კიდევ იჩინა თავი. როგორც ნამდვილად შევიტყუეთ, ამ თთვის 19 ხუნაგით გარდაცვლილა სამკურნალოში რაჭველი გლეხის შვილი მიხა კერესელიძე, რომელიც სოლოლაკში მკერავ გძელიშვილთან ყოფილა შეგირდად.

*** ამ თთვის 19 ტფილისის სამკურნალოში დედამ მიიყვანა თავისი შვილი, თევდორე სტეფანეს ძე კარხნაშვილი, რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა. კარხნაშვილის გვამი საანატომიო თეატრში გაჰკვეთეს და აღმოაჩინეს, რომ მიცვალებული ციმბირის ჭირით იყო მომკვდარი. სამკურნალომ ეს ამბავი მაშინვე პოლიციას აცნობა დეზინფექციის მოსახდენად გარდაცვლილის სადგომში. ამავე დროს ეს ამბავი ოფიციალურად აცნობეს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორსა და კავკასიის მთავარმმართებელს.

*** ამ თთვის 20-ს ერთი დედაკაცი კიდევ გახდა ავად ხოლერით ვერაზედ, აგურხანის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, სახელდობრ მართა ალეევი, 45 წლისა. ამ დედაკაცს ამ დღეს გაუთხოვებია თავისი ქალი და ნიშნობის შემდეგ ავად გამხდარა. ავადმყოფი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** სამხედრო უწყების დაწესებულებათა საინსპექციოდ სამხედრო მინისტრის მიერ გამოგზავნილი გენერალ-მაიორი ე. ნ. ბარანოვი ამ თთვის 20 ტფილისში ჩამოვიდა.

*** ამ თთვის 19 ვილაცა ავაზაკებს მცხეთის საბაჟო გაუძარცვავთ. ხუთ თუმნამდე სახელმწიფო ფული წაუღიათ და გაქცეულან.

*** 19 ენკენისთვეს გაათავეს რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში ახლად მისაღებ ყმაწვილების გამოცდა. 56 ყმაწვილში, რომელთაც დაუმთავრებიათ სწავლა სხვა-და-სხვა სასწავლებელში, შემდეგ მათის ჯანმრთელობის შემოწმებისა, გამოცდილ იქმნა მხოლოდ 52 შეგირდი. ამათში მიიღეს მხოლოდ 17.

*** დღემდე მომგებსა და სარგებლიანს ბილეთებს ვყიდულობდით კერძო კანტორებში და ხშირად, მყიდველის სამწუხაროდ, ეს ნასყიდობა დიდად საზარალო იყო ხოლმე, რადგანაც გამყიდველი, შეჰკრებდა რა რამდენსამე ათს ან ასს თუმანს, ჩასჯიბავდა ამ ფულს და გაუდგებოდა გზას. ეხლა ეს უსიამოვნო ამბავი თავიდამ აგვცილდება, რადგან 1-ლ ოქტომბრიდგან ამ გვარს ბილეთებს იყიდის და გაჰყიდის ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილება. მომგებიანს ბილეთს ბანკი გაჰყიდის ბირჟის ფასთან შედარებით 1 მ. ძვირად და იყიდის 1 მ. იაფად. არა მომგებიანი ბილეთები $^1/_4{}^0/_0$ ძვირად გაიყიდება და $^1/_4{}^0/_0$-ით იაფად იყიდება. ყოველ გაყიდვის თუ ყიდვის დროს ბანკის განყოფილება აიღებს თავის სასარგებლოდ მხოლოდ $^1/_{10}{}^0/_0$ ბილეთის დარქმეულის ფასისას. ბანკის განყოფილების მიერ სყიდვა და გასყიდვა ამ გვარ ქაღალდებისა ზემოხსენებულის წესით სრულიად ახალი ამბავია და ფრიად სასიამოვნო ამბავიც არის.

*** ბათუმი: 19 სექტემბერს დაიწვა აქ რკინის გზის საწყობი. ზარალი დიდია: თითონ საწყობი 3,000 მ. ღირდა და საქონელი იყო შიგ 13,000 მან. საწყობის გაკეთებას უკვე შეუდგნენ.

*** ალტაგლია: გუშინ ვაგონი დაეჯახა მატარებელს. ვაგონი დაიმსხვრა. ვაგონიდგან გადმოვარდა კონდუქტორი დობრინია და ცალი ფეხი დაუშავდა.

*** გორი: ამ ენკენისთვის 13 გორის ბაღის ხის შენობაში, რომელსაც „როტონდას“ ეძახიან, ჩვენმა აგრონომმა თ. ივ. ანდრონიკაშვილმა წაიკითხა ქართულად ლექცია ვაზის ავადმყოფობისა და წამლობის შესახებ. ლექციის წაკითხვა დანიშნული იყო დილის ათს საათზედ; შესვლა „როტონდაში“ და მოსმენა ლექციისა იყო უფასოდ. ხალხი საკმაოდ დაესწრო ლექციას. ბ-ნმა ანდრონიკაშვილმა მშვენიერის ქართულის ენით აუხსნა მსმენელთ, რა არის მილდიუ, ანუ ჩვენებურად ობი, რისაგან წარმოსდგება და რა საშუალების ძალით უნდა მოვაშოროთ ვენახებსაო. როდესაც ობის შესახებ გაათავა ბაასი, შემდეგ ილაპარაკა ნაცარსა და მის წამლობაზედ. ბოლოს გადავიდა ფილოქსერაზედ, მის უცნაურს მოშენება-გავრცელებასა და წამლობაზედ. მსმენელნი დიდად მადლიერნი დარჩნენ და იქვე რამდენსამე მემამულემ განაცხადა სურვილი შეიძინოს თავის თვის სასხურებელი მაშინები, რომ უწამლონ ვენახებს. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნ ანდრონიკაშვილის დასი ერთგულად და ერთსულად ჰმოქმედებს, არავითარს ღონეს არა ჰზოგავს ჩააგონოს ხალხს, გაუთქვიფოს ტვინში ჩვენს შეუჯერებელს მემამულეებს, რომ ვაზის წამლობა საჭირო და სასარგებლოა და არა საშიში, როგორც იმათ ჰგონიათ. ყოველ კვირა-უქმე დღეებში მიდიან სოფლად, აგროვებენ ხალხს, უხსნიან და ასწავლიან რა არის მიზეზი ვაზის ავადმყოფობისა და როგორი წამლობა ეჭირვება.

*** ქართლი: ჩვენში ხოლერა ძალიან შემცირდა, მხოლოდ ზოგიერთს სოფელშია კიდევ, იმ სოფლებში, რომლებიც ზაფხულს გადაურჩნენ ამ სენს, მაგრამ ამ სოფლებშიც დიდი ძალა აღარა აქვს. ერთობ მუყაითად და თავ-გამომეტებით მუშაობენ ჩვენს გორის მაზრაში ექიმები ბ-ნი მაღალაშვილი და ცისკარაშვილი. ბევრი შემწეობა აღმოუჩინეს ხალხს თავისის დარიგებითა და მოქმედებით სტუდენტებმა, რომელნიც ამ უკანასკნელს დროს იყვნენ ჩვენსკენ გამოგზავნილნი. უფრო ცოტა ადრე რომ მოჰშველებოდნენ ჩვენს სოფლებს, ბევრს გადაარჩენდნენ ხოლერით სიკვდილისაგან, მაგრამ, საუბედუროდ

## ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლობა

#### IV

ინტელიგენციისა და მდაბიო ხალხის ურთიერთობის შესახებ.

სათქმელი ნათქვამია, მაგრამ ჩემს თავს ნებას მივცემ, ორიოდე სიტყვა კიდევ მოგახსენოთ, მით უმეტესს, რომ, თუ გახსოვთ, სადაც დაბა-სოფლად მოფენილს სხვა-და-სხვა წოდებისა და სამსახურის კაცებს ვეხებოდი, იქ, სხვათა შორის, ესეც მოგახსენეთ: „რაც შეეხება მცირე ნაწილს ჭეშმარიტ ინტელიგენციისას, ეს ჩვენის ქვეყნის მოღვაწენი არიან, მხოლოდ ვაი, რომ ისინი მდაბიო ხალხში არ გამოდიან ქრისტეს მოციქულებივით სამოქმედოდ, შორიდგან მოქმედებენ სიტყვით და იმათი ახალი, სულის ჩამდგმელი სიტყვა-კი დღესაც არ მისწვდომია მწარე ცხოვრებისაგან მწარედ გატანჯულ უმრავლესობის ყურსა და გონებას და, თუნდა მისწვდეს კიდეც, მეტად უდღეო-უხიმშიათო ნაყოფს გამოიღებს და რა მიზეზით, ამასაც თავის ალაგას მოგახსენებთ-მეთქი“. მაშასადამე, მოვალე ვარ დაპირებულიც აგისრულოთ, თუ-კი თქვენი ნებაც გახლდებათ და ცოტა ხანს კიდევ მიწყალობებთ მცირეოდენს ყურადღებას.

ნაცვლად იმისა, რომ მტკიცედ შეერთდეს ძალა ჩვენის ქვეყნის განათლებულთა მოღვაწეთა, აღიჭურვოს იგი კაცთ-მოყვარეობის ძლიერებით, უწამლოს რამე კეთილის საქმით მრავალის ღატაკის ხალხის ჭირ-ვარამს და იმითი მოსწმინდოს მოძმეს ტანჯვის ცრემლი, ორიოდე სიტყვით წამოიძახებენ ხოლმე მთვარე-მთვარეზედ: არიქათ! ხალხი გველუპება მყვლეფავ მოვაჭრე-მოვახშეებისაგან და თავი დავსდვათ ძმათათვისაო. მაგრამ თავს თბილსა და რბილს ბალიშზედ დასდებენ უდარდელად, როცა კახურს გადაჰკრავენ ხოლმე ფლავბოზბაშით ასუყებულნი. მააა შ! ქართველები ვართ-და. ამბარში რომ ხუთი ლიტრა ფქვილი დავიგულოთ და ქოცოში ორიოდე ჩაფი ღვინო, ჩვენზედ უზრუნველი ბუზიც აღარ იქნება: დათვის ძილით დავიძინებთ, სხვისა ჭირს ღობის ჩხირადაც აღარ მივიჩნევთ გუნებაში და პირად-კი „მე მოვკვდე და შენ იცოცხლე“-ს ვიძახებთ თვალთმაქცობით. არა, ბატონნო ქვეყნის მოღვაწენო, ვიდრე საქმით არ დაუმტკიცებთ ხალხს ქრისტეს ნაბრძანებს: „მწყემსმან კეთილმან თავი თვისი დასდვის ცხოვართათვისო“ და თქვენის დაუცხრომელის მეცადინეობით მზის სხივებივით არ მოჰფენთ ქვეყნის საკეთილდღეო დაწესებულებათ ერის მწარედ დამჭკნარის ცხოვრების ასაყვავებლად და იმის უსულღმერთოდ მჭამელ მგლების კაპიწის შესაკვრელად, მანამდე სხვა ვერას გზით დაიმსახურებთ ხალხის ნდობა-სიყვარულს და სხვა ვერასფრით მიიზიდავთ თქვენკენ იმის გულ-გონებას გასაკეთილგონიერებლად, თუნდ ათასი წიგნები და სტატიებიც რომ აცხოთ და აცხოთ ზედი-ზედ ჯვარის მამის ლავაშებივით. ან-კი, აბა მიბძანეთ, ვისა სცხელა დღეს მწერლობის ყურის საგდებლად, გარდა ასიოდე გაუჭირვებელ ცხოვრებით გულ-დამშვიდებულისა, როდესაც უმრავლესობა სილატაკის ზღვაში იხრჩობა და სულთმობრძავს თავის შველის მეტი აღარა ეყურება-რა? მწარე ცხოვრებით განადგურებულს ხალხს თვით დიდებულის რუსთაველის დიდებული ქმნილებაც რომ მიწოდოთ, ან წაუკითხოთ, რომელიც კაცს სულს უფრთოვანებს, გულს უწმენდავს და გონს უნათლებს, ის მაშინვე ამას მოგახლით შუბლ-დაღვრემით: დაკარგე! მაგი გაჩენი საათი-კი დაიქცესო!.. წიგნებსა და ქაღალდებს ჩვენი „ადვაკანტები“-კი არა ჰჩხაპავენ და კითხულობენ, რო იმათ ნამუსს ძაღლის ნამუსი სჯობიაო. ათასჯერ და ათასგან გამიგონია ხალხისაგან ასეთი პასუხი, რომელშიაც ზიზღიც-კი იხატება მწერლობისა და მწერლების მიმართ, რადგანაც უვიცს ხალხს საპატიო მწერალთა მოქმედება ლობემძვრალა აბლაკატების მოქმედებად მიაჩნია, თორემ სათაყვანო რუსთაველზედ, იმას-კი არა, ამას იტყოდა: შენ დიდება ხარ ივერიისა, მაღლა ზეციდამ მოვლინებული, შენ გვირგვინი ხარ ქართველთ ერისა, ნიჭით და მადლით გაბრწყინვებული!

ჩვენდა, ძალიან გვიან მოგვაშველეს ეს მადლიანი ადამიანები.

*** გორი: გორში თუმცა ხოლერა აღარ არის, მაგრამ აქა-იქ თავი იჩინა სახადმა. ექიმები ჰშიშობენ, რომ ახლა ამ სენმა არ მოიკიდოს ფეხი ჩვენს ქალაქში. რაც ხოლერა გათავდა, სანიტარებმაც თავის მოქმედებას უკლეს და ქალაქი ნელ-ნელა ისევ ძველებურად ჰუჰყიანდება და ნაგვით ივსება. იმედია, ქალაქის თვით-მმართველობა არ მიანებებს თავს ქალაქის გასუფთავებას.

*** იქიდამვე: გორის მაზრის ექიმად დანიშნეს ახალგაზდა ექიმი, ბ-ნი ბარსუკოვი. ძველს მაზრის ექიმს ნაცნობებმა და მეგობრებმა სადილი გაუმართეს. რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა მის მოღვაწეობის გამო, რომელიც იმას მიუძღვის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების წინაშე.

*** გაზეთები გვაცნობებენ, რომ გზათა სამინისტრომ ყველა რკინის გზის უფროსებს უბრძანა, მოსწავლეებს და მათს ყურის-მგდებელ თანამგზავრთ ცალკე, თავისუფალი ალაგი მიუჩინონ მატარებელში. ამიტომ მოსწავლე ახალგაზდობის გახშირებულ მისვლა-მოსვლის დროს ცალკე ვაგონები მიემატება მატარებლებს მხოლოდ იმისთვის, რომ ზემოდ მოხსენებული განკარგულება სისრულეში მოიყვანონ.

*** „Нов. Обоз.“ ამბობს, რომ სოფ. ქვეშში, რომელიც მდებარეობს ტფილისის მაზრაში, შავი სახადი გაჩენილაო.

*** იმავე გაზეთს სწერენ, რომ ბორჯომს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულში ტყეს ცეცხლი წაეკიდაო.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ოზურგეთი**, 15 სექტემბერი. აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში გურიის სხვა-და-სხვა ადგილას საქველმოქმედო აზრით გაიმართა ქართული წარმოდგენა, რომელთა ანგარიშსაც ამასთანავე წარმოვადგენ.

სოფ. ნიგოითში წარმოდგენილ იქმნა ორი პიესა: „ბაიყუში“ და „ბუტიაობა“. სრული შემოსავალი იყო 23 მან. 75 კაპ., ხარჯი შესდგა 8 მ. 21 კაპ. (აქედამ 3 მან. ადგილობრივს სკოლას მიეცა და 4 მანათამდე-კი სასცენო ფარდების ფასია. ეს ფარდები სცენისთვის დარჩა) წმინდა შემოსავალი იყო 15 მან. და 54 კაპ.

დ. ლანჩხუთში წარმოდგენილ იქმნა იგივე პიესები და სრული შემოსავალი იყო 35 მან. 60 კაპ. ხარჯი—7 მან. და 21 კაპ. (აქედამ 4 მან. და 50 კაპ. ადგილობრივს სკოლას მიეცა). წმინდა შემოსავალი დარჩა 28 მან. და 39 კაპ. ამ ორის წარმოდგენის შემოსავალი, რომელიც ერთად შეადგენს 44 მან. და 93 კაპეიკს, დანიშნულია სამ. კ—ის სასარგებლოდ.

ზემო თქმული პიესები „ბაიყუში“ და „ბუტიაობა“ წარმოდგენილ იქმნა კიდევ ს. აკეთში და დ. ჩოხატაურში. აკეთს სრული შემოსავალი იყო 16 მან. და 60 კაპ., ხარჯი—1 მან. 60 კაპ., წმინდა დარჩა 15 მან.

დ. ჩოხატაურში სრული შემოსავალი იყო 41 მანეთი., ხარჯი იყო 2 მან., წმინდა შემოსავალი დარჩა 39 მანათი. ამ 39 მანათიდამ ერთი მესამედი, ე. ი. 13 მანეთი, დანიშნულია ტფილისის სემინარიის ღარიბ მოსწავლის ე. კ—ლის სასარგებლოდ, ხოლო ორი მესამედი ჩოხატაურის წმინდა შემოსავლისა და აკეთის შემოსავალი, რაც შეადგენს ერთად 41 მან., გადაეცა უკვე გურიის სახალხო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ბ-ნს არ. წით—ძეს.

უკანასკნელი წარმოდგენა ამ სექტემბრის 12 გაიმართა ოზურგეთში. წარმოდგენილ იქმნა „ბაიყუში“ და „გემრიელი ლუკმა“, ანუ „ადამ და ევა“, ვოდევილი ორ სურათად. სრული შემოსავალი იყო 75 მან., ხარჯი შედგა 36 მან. და 25 კაპ. ამ ხარჯს გარდა, დარჩა წმინდა შემოსავალი 38 მან. და 75 კაპ. ამ ფულიდამ 30 მან. და 75 კაპ. დანიშნულია ვარშავის ქართველ სტუდენტის მახ—ძის სასარგებლოდ, ხოლო 8 მან.-კი ლანჩხუთში ახლად გამართულ ერთ-კლასიან დედათა სკოლის სასარგებლოდ, რომლის მასწავლებელი ქ. მ. წ—სანი მონაწილეობას იღებდა ნიგოითის, ლანჩხუთის, აკეთის და ჩოხატაურის წარმოდგენებში, რისთვისაც მადლობის ღირსია როგორც ეს, აგრეთვე ამ წარმოდგენებში მონაწილე ქ. ფ. იოსების ასული.

უნდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ საზოგადოება ყველგან გულ-წრფელად მიეგება ამ წარმოდგენებს და ვისაც-კი მივმართეთ, არავითარი შრომა და ჯაფა არ დაჰზოგეს შემწეობის აღმოსაჩენად. სხვათა შორის განსაკუთრებულისა და განუსაზღვრელის მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი კ-ჟნა ვ. თავდგირიძე, ნ. ჟღ—სა, ელ. კ—ძე და მ. ქ—სა; ბ-ნნი ბ. ჟ—ტი, კ. კ—ლი, ალ. მ—ლი, რომელმაც სხვა შემწეობასთან უფასოდ დაგვითმო სკოლის დარბაზი და სცენის მთელი მოწყობილება ოზურგეთში. ამას გარდა, მადლობას ვუძღვნით ყველა იმათ, ვისაც ასე თუ ისე შესაძლებელი შემწეობა არ დაუზოგავს ამ კეთილის საქმისათვის.

ზემო აღნიშნული ფული, გარდა სახალხო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ დანიშნულისა, აბარია დ-რი კალან—შვილს და თავის დროზედ კუთვნილებისამებრ დარიგდება.

---

## საფილოქსერო დასთა მუშაობა მარიამობისთვეს.

ტფილისის საფილოქსერო დასმა დაათვალიერა ვენახები გლდანს, მამკოდს, ვეჯინს, მშრალი-ხევს, თოხლიაურს, წალასყურს, კუმისს და თელეთს. ამ სოფლებში ფილოქსერა არსად არ აღმოჩნდა. გაისინჯა 268 ვენახი, სივრცით 252 დღიური. ორთა შუა რიცხვით რომ ავიღოთ, გაისინჯა თითოეულის ვენახის ვაზის საერთო რიცხვის 7°/₀.

ფილოქსერა არსად არ აღმოუჩენია საფილოქსერო დასს, მაგრამ ნაცარს-კი ზოგიერთს სოფელში საშინლად გაეფუჭებინა ყურძენი: სულ წვრილი მარცვლები, ნაცარ-დაყრილი და თვალ-შეუსვლელი იყო მარიამობისთვის უკანასკნელ რიცხვებში. პაწია სოფელ ვეჯინს და აგრეთვე სოფელ კუმისში ნაცარს გაუნადგურებია ვენახები. მხოლოდ ის ვენახები იყო კარგი, რომლის პატრონთ ეწამლათ. ეწამლათ უფრო შეძლებულთ, იქაურს მემამულეებს.

გლეხობას-კი, სამწუხაროდ, არაფერი გაეგება ვაზის წამლობისა და ამისი მიზეზი ის გახლავთ, რომ ზოგიერთს ზემო მოხსენებულს სოფელში გაგზავნილ იქმნენ საფილოქსერო დასის ისეთნი წევრნი, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ არც ქართულის ენისა, არც ქართველების ზნე-ჩვეულებისა და არც ყოფა-ცხოვრებისა, რომ ყოველ ამის მიხედვით გაერკვიათ, ჩაეგონებინათ, რა აზრითაა საფილოქსერო დასების მუშაობა შემოღებული სოფლებში. ამის მაგიერ, დასის მოქმედება ისე შემცირდა, რომ დასის წევრნი თითო-ოროლა ვაზის თხრის მეტს არას დასდევდნენ.

კახეთის საფილოქსერო დასმა გასინჯა 216 ვენახი, სივრცით 418 დღიური, თელავისა და თიანეთის მაზრაში. წრეულს კახეთს საშინელი სიცხე და პაპანაქება ყოფილა და ამ გარემოების წყალობით ობმა და ნაცარმა იმდენად ვერ დააზიანა თურმე კახეთის ვენახები. ცხადად ეტყობა, თუ როგორ შველის წამლობა და რამდენად სასურველია შემდეგისთვისაც მისი გავრცელება. ყურძენი იმ ვენახებისა, რომელთაც უწამლეს ობისა და ნაცრის მოსასპობლად, უფრო მწიფეა, უფრო მსხვილ-მარცვლოვანი და ვენახიც უფრო შეფოთლილ-შენახულია, ვიდრე არ ნაწამლი ვენახები. სიღნაღის მაზრის რამდენსამე სოფელში უნდა ეწამლათ ვენახებისათვის, მაგრამ ხოლერისა გამო დასმა იქ ვერ უწამლა.

გორისა და დუშეთის მაზრის საფილოქსერო დასმა გასინჯა ვენახები შემდეგს სოფლებში: წედას, ხოვლეს, კასპდას, მუხრანს და დამპალას. ამ სოფლებში სულ გაუსინჯავთ 118 ვენახი, სივრცით 60 დღიურამდე. ფილოქსერა არსად არ აღმოჩენილა. ნაცარისა და ობის მოსასპობლად წამლობა განუგრძვიათ წარსულს თთვეს.

სურამის საფილოქსერო დასს გაუსინჯავს ვენახები სურამისა და ხაშურის გარშემო სოფლებში 479 ვენახი, სივრცით 246 დღიურზედ მეტი. ფილოქსერა არსად არ აღმოჩენილა. ნაცრისა და ობის მოსასპობლად წამლობა განუგრძვიათ.

ქუთაისის ორს საფილოქსერო დასს ფილოქსერის მოსასპობლად წამლობა უცდია და 11—12 ლექცია წაუკითხავთ სხვა-და-სხვა სოფელში დ. ყვირილას ახლო-მახლო.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

წელს ორი უბედურება ეწვია მთელს რუსეთს: სიმშილი და ხოლერა. ხოლერიანობის დროს აღმოჩნდა, რომ რუსეთში ძლიერ ცოტა მკურნალია და საზოგადოდ სამკურნალო საქმე ვერ არის რიგიანად მოწყობილი. ამ საქმის შესახებ გაზეთი „Недѣля“ სწერს:

გვეწვია თუ არა ხოლერა, იმ წამსვე აღმოჩნდა, რომ რუსეთს ცოტა მკურნალი ჰყოლია. მკურნალებს იბარებდნენ გუბერნატორები, ქალაქის გამგეობანი, რკინის გზათა მმართველნი, მექარხნეები, სამკურნალო დეპარტამენტი და სხვ. მკურნალთ თთვეში 300 და 400 მანათსაც ჰპირდებოდნენ ჯამაგირს. მკურნალთ გარდა, ყველგან იწვევდნენ მკურნალ-სტუდენტებს და ფერშლებს და ბევრი სოფელი და ქალაქიც-კი უმკურნალოდ დარჩა. იმ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც საკმაოდ იყვნენ მკურნალნი და ფერშლები, ხოლერა ძლიერ არ გავრცელებულა და მხოლოდ იმ სოფლებში მძვინვარებდა, სადაც მკურნალნი და ფერშლები სრულიად არ იყვნენ.

გაზეთი „Недѣля“ ნამდვილს ჭეშმარიტებასა ჰღაღადებს: სამკურნალო საქმე რუსეთში მართლაცდა რიგიანად არ არის მოწყობილი. განა სოფელს სხვა დროს-კი არ ეჭირვება მკურნალი? განა სხვა გადამდებს სენს (მაგალითად, ხუნაგსა, სახადსა, ყვავილს და სხვას) წამლობა არ ეჭირვება? და რამდენია რუსეთსა და ჩვენშიაც ისეთი სოფელი, სადაც არც მკურნალი მოიძებნება და არც ფერშალი?

მკურნალებს გარდა, სოფელს არა ჰყავს არც ნასწავლი მეურნეები, არც რიგიანი განათლებული სოფლის მოხელენი და არც საკმაოდ სკოლები აქვს. დრო-კია, გვგონია, რომ მთავრობამაცა და შეგნებულმა, განათლებულმა კაცებმაც ყურადღება მიაქციონ სოფელს, რომელიცა ჰკვებავს და ასაზრდოებს მთელს სახელმწიფოს და რომლის კეთილდღეობაზედაც დამყარებულია მთელის სახელმწიფოს კეთილდღეობა და განვითარება.

---

## მეცნიერებისთვის წამებულნი

### როჟერ ბეკონი

როჟერ ბეკონი სიცოცხლეშივე ცნობილი იყო პარიჟელთაგან „სა-

---

რას იზამთ, არ ცოდნა არ ცოდვაა, მხოლოდ სავალალო ის არის, ჩვენმა მდაბიო ხალხმა ანუ უმრავლესობამ დღესაც არ იცის დანამდვილებით, ვინ მისი მტერია და ვინ—მოკეთე, არ იცის იმისთვის, რომ თვით ჩვენისავე მოღვაწეების ბრალია ეს, რომელნიც სიტყვით ბევრს ამბობენ, მათი ნათქვამი უცოდინარ უმრავლესობის ყურამდის არ აღწევს, და არც ხალხის საქმეებში სჩანან, რომ ქვეყანას ყური ეყარნა, დაენახა იმათი საქმით მოქმედება და მოულოდნელის ოლტაცებით წამოეძახნა: ბიჭოს! დახეთ, თქვენს გამარჯვებას! მართლა ღვთისნიერი კაცები გვყოლია ნასწავლს ხალხში: იმათ გამოგვიხსნეს ულმერთოების ძარცვა-გლეჯისაგან, იმათ დაგვიმართეს სასარგებლო ალებ-მიცემის დეპო-კასები, იმათ გაგვიმართეს საქალ-ვაჟო სკოლები. იმათ გამოუჩინეს სარფიანი ბაზარი ჩვენს ჭირნახულს, იმათ შეგვიმოკლეს ათასი ჯაფა-წვალება ხერხიანი მაშინა-იარაღებით, ისინი გვიკითხავენ ათას ნაირ დარიგებას კვირა-უქმე დღეს, იმათ გვასწავლეს თავ-მდაბლობა, დაუცხრომელი გარჯა-შრომა, ერთმანეთის შებრალება, შეწევნა და სიყვარული, იმათმა შიშმა დაუდუნა ავი ენა-ხელი ბოროტს სულებს, იმათ მოგვაგონიერეს და დაგვაყენეს კეთილ ცხოვრების გზაზედ, ისინი ყოფილან ჩვენი მეორე ღმერთები და, აი დიდება შენთვის, უფალო, ჩვენ-კი როდი ვიცოდითო. მაგრამ სად არის ეს? საუკეთესო ნაღები ინტელიგენციისა ქალაქების ამყრალებულ ბუღში ფუსფუსებს ჭიანჭველასავით და საამო მთა-მინდვრიან დაბა-სოფლებს-კი ორფეხა ნადირები იკლებენ უპატრონობით. არა, ვიდრე ჭეშმარიტი ინტელიგენცია დაბა-სოფლებს არ მოეფინება ცხოველ-მყოფელის მზის სხივებივით და უვიცს ხალხს არ უწინამძღვრებს ცხოვრების საქმეებში, მინამ ხალხის წარმატება ისევ წელმოწყვეტილი კუს ნაბიჯით იბობღებს ცხოვრების ნარეკლიანს გზაზედ. მარტო ლიტონის სიტყვით მალამოს ხსნება უვიც ხალხს უვიცობის იარას ვერ გაუმთელებს, თუ იმ სიტყვას საქმედ არ აქცევთ. ჩვენს დღევანდელს მოწინავე ინტელიგენციაზედ სწორედ იგივე ითქმის, რასაც ჰამლეტის შესახებ ამბობს რუსეთის ახალგაზდა მწერალი ი. ივანოვი: „У Гамлета больше позывовъ къ дѣятельности, чѣмъ воли дѣйствовать, больше нервовъ, чѣмъ энергiи, и несравненно больше м ы с л е й, чѣмъ практическихъ талантовъ“ („Рус. Вѣд.“, № 285—91 წ.). ეს დიდი ნაკლია ჩვენის სიტყვით მოღვაწეებისა და ამავე ნაკლზედ ჩივის სამართლიანად ერთი ჩვენი მწერალი-სტუდენტი შემდეგს: „ჯერ ჩვენი მოწინავე დასი მხოლოდ ჰღაღადებს, ჰქადაგებს და სიტყვის საქმედ გადაქცევას არ დაეძებსო. მშვენიერს სურვილს, მაღალ-აზროვანს ღაღადებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვიდრე ეს სურვილი სურვილად რჩება; ერი აფასებს მხოლოდ საქმეს, მხოლოდ მოქმედებას და იმითი ჰზომავს კაცთა ღირსებას. ვინ ამბობს, კარგი სიტყვა, ქადაგება და იდეებიც კარგია, მაგრამ ერთი ასად უფრო კარგია და სასარგებლოა, როდესაც სიტყვა საქმედ განხორციელდება, როდესაც სიტყვის შესაფერ საქმესაც ვხედავთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვამბობთ ხოლმე: თქმულმა სიტყვამ თავისი ნაყოფი მოიტანა და, მაშასადამე, ფუჭად არ ჩაიარაო“ („ივერია“, № 223—91 წ.).

დიაღ, თუ გნებავთ ერის უმრავლესობის ყურადღება მიიქციოთ მათდა საბედნიეროდ, ჯერ კეთილის, საქმით აცნობეთ თავი: ვინა ხართ და რა ხართ იმათთვის, და მერე ისე უქადაგეთ, ყველას მოგისმენთ და ყველაში დაგერწმუნებათ. თორემ მდაბიო ერის გაუთლელ უმრავლესობას თითქმის ყველა რუსულქუდა და ქართულქუდა მწიგნობარი „მაშენიკად“ მიაჩნია და შორს ერიდება, როგორც თათარი ლორის ხორცს, იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ამბობს ანდაზა: ფაფისაგან შეშინებული დოს უბერავდაო და ერთმა ტალახიანმა ლორმა ათასი სული ცხვარი გასვარაო. ეუბნებით სოფლის ხალხს: წყალი თავქვე მიდისო—და ზოგჯერ აღარც ისა სჯერა, ისე დაუშინებიათ არაწმინდა გაიძვერებს, რომელნიც დღე და ღამე სულ ხალხის გაყვლეფაზედ ჰფიქრობენ და ხალხის ძარცვა-გლეჯა გაუხდიათ ცხოვრების წყაროდ. აკი მოგახსენებთ, მოუპოვეთ ერის მწარე-ბალღამიან ცხოვრებას დამატკბობელი მალამო და ხალხსაც ეცოდინება, ვინ არის სულში ჩასასმელი მოღვაწე ქვეყნისა და ვინ—საზიზღარი კაცუნა; ასეთია საზოგადოდ ხალხის ბუნება და ამასავე ამტკიცებს ხალხისავე გენიისაგან შექმნილი აი ეს ლექსი: „ნუ მიენდობით ცხვარსაც-კი, ვინ იცის, რა ზნე სჭირსაო, ზოგი კაცი მელასა ჰგავს, ის დასაწვავის ღირსაო; კაცი საქმეში იცნობა, სიტყვით ვინ გამოსცვნი-

კვირველ ექიმად“. პირველად ბეკონმა შენიშნა უსწორობა იულონის კალენდარს, გამოიგონა სათვალე შორსმხედველთათვის, გამოიგონა თოფის წამალი და ყველა ამისთვის თვალთმაქცადა და ჯადოქარად ჩასთვალეს. ბეკონი დიდი მეცნიერი იყო, მაგრამ თანამედროვე ფანატიკოსებმა შეაჩვენეს იმისი ნაწერები, როგორც „საშიშო და საეჭვონი“, ჩააგდეს ბეკონი საპყრობილეში, სადაც იყო 15 წ. სიკვდილის წინ უდანაშაულოდ წამებულმა მოხუცმა მწარედ წარმოსთქა: „ვნანობ ეხლა, რომ მეცნიერების გულისთვის ამდენი ტანჯვა მივიყენეო“.

### პეტრე რამუსი

პეტრე რამუსის მამა ხვნა-თესვას მისდევდა, მაგრამ ისეთი ღარიბი იყო, რომ თავისს შვილს ძლივს არჩენდა. მისდა მიუხედავად პეტრე რამუსმაა რაღაც ბედის წყალობით მიიღო ფილოსოფიის პროფესორობა და პირველად ამან შეჰქმნა ლოღიკა—სახსარი კანონიერად სჯისა. სწერდა ბლომად ზნეობის განკარგების შესახებ, მაგრამ იმის თხზულებანი შეაჩვეენეს, ლექციების კითხვაც აუკრძალეს და თითონაც ძლივას გადარჩა კატორგას. შემდეგში პროფესორობა მიიღო ისევ და ბართლომეს ღამეს პარიჟში მოხვდა. აქ მაშინ ინკვიზიციის მეთაურმა და რამუსის დიდმა მტერმა, შარპატიემ, მიჰგზავნა მასთან მკვლელნი, რომელთაც გამოათრიეს რამუსი სამალავიდგან, დასჩეხეს ხმლით და შემდეგ გადმოაგდეს ქუჩაში, სადაც ხალხმა მთლად ამოაგლიჯა შიგნეული და ნაჭრებად დაფლითა... ასე დაიღუპა ის დიდი კაცი, რომელმაც გაჰბედა პირველად სქოლასტიკის შერყევა.

### ჯიორდანო ბრუნო

ყველაზედ-კი სასტიკად აწამეს სრულიად უდანაშაულო და ყველასთვის კეთილის მსურველი ჯიორდანო ბრუნო. ბრუნომ იტალიელთა გამოჩენილ ფილოსოფ-მეტაფიზიკოსმა, გაილაშქრა თეოლოგთა წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც ინკვიზიცია მუსრს ავლებდა ყველას, ვისაც-კი შეამჩნევდა ახალის რამის შემოღებას. ინკვიზიციელებმა შეიპყრეს იგი და მიუსაჯეს ცოცხლივ დაწვა. ბრუნომ სიკვდილის წინ უთხრა მსაჯულთ: „თქვენი განაჩენი ჩემ შესახებ თქვენვე უფრო ძლიერ გაშინებთ, ვიდრე მე“. ის დასწვეს კოცონზედ 1600 წელს.

### კამპანელა

თითქო პირობა მიუციათ, რომ ყველა ფილოსოფოსები ვხოცოთო, ისე იქცეოდნენ ევროპიელნი XVI საუკუნეში. აი კიდევ სხვა მსხვერპლი იმათის უმეცრებისა. იყო ერთი ფილოსოფოსი, კამპანელა (დაიბადა 1568 წ.). რა ნაირად არ აწამეს საწყალი კამპანელა მარტო იმიტომ, რომ ფილოსოფოსს რად უძახი შენს თავსაო, ორმოც-და-ათჯერ ჩააგდეს საპყრობილეში, შვიდჯერ აწამეს, მეტადრე საშინელი იყო უკანასკნელი წამება, რომელიც გაგრძელდა 40 საათს; უკან ხელები შეუკრეს თოკით, მერე ჩამოჰკიდეს ბოძზედ და ქვეშ წვეტიანი პალო დაუყენეს, ასე რომ ჩამოკიდული ფილოსოფოსი ინძრეოდა და ტანით ეხახუნებოდა პალოს წვერს და ასე იფლითებოდა. ამბობენ, ათ გირვანქამდის სისხლი დაედინა ტანზეო. მაგრამ ექვსის თთვის ავადმყოფობის შემდეგ კამპანელა მორჩა სრულიად, დაიჭირეს და ახლა ორმოში ჩააგდეს. 15 ჯერ წაათრიეს სამსჯავროში და ბოლოს მოასწრო პარიჟში გაქცევა, სადაც ჩქარა მოეღო ბოლო იმის ტანჯულს სიცოცხლეს...

### პალისი

პალისი დაიბადა XVI საუკუნეს, ერთს პატარა სოფელში. პირველად მეშუშედ იყო, მაგრამ ამას თავი დაანება, დაიწყო მეჭურჭლეობა და მიწად-მოქმედება. მეჭურჭლეობა კარგა შეისწავლა პალისიმ და დიდადაც გააუკეთესა ეს ხელობა. შემდეგ ამავე დროს აღმოაჩინა საშუალება ჩინურის ჭურჭლის მომზადებისა, რითაც უკვდავ იქმნა მისი სახელი. იქნება ბევრი რამ შეემატნა კაცობრიობისათვის ამ უბრალო მეჭურჭლეს, მაგრამ სიღარიბე უშლიდა ხელს... პალისზედაა სწორეთ ნათქვამი: „სიღარიბე უცარავს ხელს ყველაფერში დიდის ჭკუის მქონე კაცს, როგორც ცალიერი ტომარა ვერ დადგება სწორედ, ისე ღარიბი წადილს ვერ მიაღწევსო“. პალისი შეიპყრეს პარიჟში ბართლომეს ღამეს და სიცოცხლე მოუსპეს.

### სერვე

პალისის დროსვე მოუღეს ბოლო მიშელ სერვეს. მიშელ სერვემ საფუძვლიანად შეისწავლა სარწმუნოებრივი საგნები და ერთხელ, როდესაც შეხვდა კალვინს, შეება და გამოეკამათა. კალვინმა დააბეზღა ინკვიზიციასთან, სერვე შეიპყრეს და ცოცხლივ დასწვეს, როგორც ერეტიკოსი, ჯერ ისევ 44 წლისა.

ზ. ფრონელი

(დასასრული იქნება)

---

# რუსეთი

— როგორც გაუგია „С.-Пет. Вѣд.“-ს, კერძო გამსესხებელ კასის წესები იქმნება გადასინჯული საგანგებო კომისიის მიერ ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

— გაზ. „Рус. Вѣд.“-ი ამბობს, რომ შემოღებულ იქმნა დამატებად წინანდელისა ახალი ბაჟი იმ შაქრისა, რომელიც რუსეთშივე იხარჯება, 40 კაპ. ფუთზედ. 1 სექტემბრიდამ შაქრის ქარხნები დაექვემდებარება საექციზო უწყებასაო.

— გაზ. „Рус. Жизнь“-ი სწერს, რომ ზოგიერთს ქალაქს მიენიჭა უფლება ბაჟი დააწესოს იმ რკინის გზით შემოტანილსა და გატანილს საქონელზედ, რომელიც ამ ქალაქის მახლობლად არის გაყვანილიო. ეს გადასახადი ქალაქებმა უნდა მოახმარონ იმ მისავალ გზების განკარგებას, რომელიც სადგურამდეა გაყვანილი ქალაქში. ჯერ-ჯერობით ეს უფლება ეძლევათ ქალაქებს 1 მაისამდე 1896 წ.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში განზრახვა აქვთ, რომ უმთავრესი საagronomio ინსტიტუტი დააარსონ, რათა იმის შემწეობით მეცნიერულად გამოკვლეულ იქმნას სხვა-და-სხვა სამეურნეო საგანი. ამასთანავე განზრახვა აქვთ რამდენიმე სამეურნეო სადგური გაჰმართონ.

---

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** ბოლგარია ამ ბოლოს დროს როგორღაც სცდილობს ოსმალეთი დაიყაბულოს და ბოლგარიის აწინდელი მთავრობა კანონიერ მთავრობად აღიარებინოს. ბოლგარიის მთავარ-მინისტრი სტამბულოვი იყო კიდეც სტამბოლში და მოილაპარაკა სულთანთან. ეხლა კიდევ, როგორც ხმა დადის, ბოლგარიის პრინცი ფერდინანდი აპირებს სტამბოლში მისვლას და სულთანის ნახვას. ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ რუსეთს არაფრად ეჭაშნიკა ეს ბოლგარიის მმართველების ხშირი სიარული სტამბოლში და ნოტაც მისწერა ოსმალეთსაო. აი, ამ ნოტას შესახებ რას აუწყებენ სტამბოლიდგან ვენის გაზეთებს: „აქ ჰლაპარაკობენ, რუსეთის მიერ ოსმალეთთან გამოგზავნილს ნოტაში იმის შესახებაც არის სიტყვა გადაკრული, რომ, თუ ოსმალეთი მხარს დაუჭერს ბოლგარიას აწინდელ წეს-რიგის დაცვის საქმეში, რუსეთი ოსმალეთს ვალს მოსთხოვს და არავითარს შეღავათსაც არ მისცემსო. ოსმალეთის წარჩინებულთა შორის ამ ნოტას შესახებ ხმა და კრინტი არ იძვრის, ასე რომ დანამდვილებით რუსეთის მიერ მოწერილ ნოტისა არა ისმის-რა. დიპლომატთა შორის ეს აზრი ტრიალებს: რუსეთმა იმიტომ გამოჰგზავნა ეს ნოტა, რომ ხელი შეუშალოს პრინცის ფერდინანდის სტამბოლში მოსვლასა და იმისსა და სულთანის მოლაპარაკებასაო, რადგანაც სტამბულოვი სტამბოლში ყოფნით უბრალოდ არ მოსცდა და თავისი საქმე ცოტად იყო თუ ბევრად მოიმარჯვაო.

— დანამდვილებით არ მოიპოვება ჯერ გაზეთებში ცნობები იმის შესახებ, თუ რა ამბები ხდება ეხლა სტამბოლში. სოფთების განდევნებამ გაზეთებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველა იძიებს მიზეზს სოფთების განდევნისას და ჯერ დაჭეშმარიტებით ვერ გამოურკვევია-რა. გაზ. „Agence de Constantinople“-ში დაბეჭდილი ოფიციოზური ცნობა სოფთების ინცინდენტის შესახებ ამბობს: „სულთანის ბრძანებით მომხდარმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ სტამბოლში ბლომად ჩამოსულან ღვთისმეტყველების სტუდენტები ეგზამენის დასაჭერად, სასტუმროებსა და ყავახანებში სცხოვრობენ და დიდს გაჭირვებასა და სიღარიბეს ითმენენო. რადგან ამ სტუდენტებმა ერთის წლის შემდეგ უნდა დაიწყონ ეგზამენი და ხალხის სიმრავლე-კი მავნებელი იყო ხოლერის შიშის გამო, გადაწყვეტილ იქმნა, რომ სასტუმრო-ყავახანებში ხალხის მრავლად თავ-მოყრის ნებას ნუ მისცემთო. მაგრამ რომ გაჭირვებას გადაერჩინათ როგორმე მოსწავლენი და შეძლება მიეცათ, რომ თავიანთისავე სამშობლო ქალაქების უმაღლესს სასწავლებლებში განეგრძოთ სწავლა, სულთანის ბრძანებით, სტუდენტები განთავისუფლებულ იქმნენ დროებით ეგზამენისაგან, ფული მიეცათ გზის ხარჯად და გემები დაეთმოთ, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენო“. პირ-იქით, სტამბოლიდგან აუწყებენ გაზ. „Daily News“-ს: სოფთები იმიტომ დააპატიმრეს და განდევნეს, რომ ოსმალეთში საკონსტიტუციო ამბოხება უნდა მოეხდინათ და ამ საქმეში სოფლებიც მონაწილეობას იღებდნენო. იქიდამვე დეპეშით აცნობებენ პარიჟის გაზეთებს, რომ დაპატიმრებული სოფთები ათს გემში ჩასხეს წარსულს კვირას და დარაჯითურთ გაჰგზავნესო. იქვე ნათქვამია, რომ სტამბოლში მყოფს ჯარებს ბრძანება გაეცათ, ყაზარმებიდგან ფეხს ნუ მოიცვლითო.

— ინგლისის გაზეთებმა, რომელნიც რამდენსამე ხანს ხმას არ იღებდნენ სომხეთის შესახებ, კვლავ დაიწყეს ამ საგნის გამო ბაასი და ლაპარაკი. მაგალითებრ „Daily News“-ში ნათქვამია, რომ სომეხთ მეამბოხენი სასსუნის ოლქში ჯერ არამც თუ ვერ გაუფანტია ოსმალეთის ჯარს, პირ-იქით, მეამბოხენი ადგილსაც არ იცვლიან და ისევ იქვე არიანო. ამას წინად კიდევ შემდეგი ამბავი მოხდა ხოძვანქში. მკვიდრთ, რომლის უმეტესობა სომხობაა, ოსმალეთის ჯარისათვის ჯორები უნდა მოემზადებინათ. სომხებმა ვერ შეიძლეს მთავრობის ამ ბრძანების აღსრულება, ჯარის-კაცებმა ხალხს ცემა დაუწყეს, სომხებმა ცემა ვერ მოითმინეს, იარაღს მოჰკიდეს ხელი და ჯარი უკუ აქციეს. ცოტა ხანს შემდეგ ჯარი, შევსებული და გაძლიერებული, ისევე დაბრუნდა, მაგრამ აჯანყებულს სომხებს ვერა დააკლო-რა. დასასრულ, სომხებმა სძლიეს ოსმალებს და გააქციეს კიდეც. ოსმალეთის ჯარის ერთმა ნაწილმა სილენ-არტიურთან შეაფარა სიმაგრეებს თავი, მაგრამ აქაც ვერ შეიმაგრეს თავი მოზღვავებულ ქურთების წინააღმდეგ. დიდის გაჭირვებით მიაღწიეს ოსმალებმა თავისს მთავარ-სადგომთან, რომელიც ხაცოში იმყოფება. ორივ მხრივ დიდ-ძალი ხალხია დახოცილი. როგორც სჩანს, სასსუნის მთელს

---

საო. მოვკვდებით, გადავბრუნდებით, მიწა აგვივსებს პირსაო, ჩვენი სამკვიდრო რა არი? საფლავი, შავი მიწაო. კაცი უნდა გულ-კეთილი, გაშლილის გუნებისაო, ენა ტკბილად მოუბარი და სიტყვა-პასუხისაო; ებრალებოდეს გლახაკი, მოყვარე იყოს ღვთისაო, მალამოდ დაედებოდეს მოძმის ვარამს და ჭირსაო; პატივიც იმას ეკუთვნის, დიდებაც ყველასგნითაო, ჭეშმარიტად ის ცხონდება, ბინა აქვს სამოთხისაო“.

სჩანს, რომ ხალხსაც სცოდნია, ვინ არის თაყვან-საცემი ღ სამოთხის ღირსია, მაგრამ ხალხი დღეს ველარა ჰხედავს თავის გარშემო სათაყვანო ადამიანებს. მას გარს არტყია ბრბო გაიძვერა და არაწმინდა კაცუნებისა, რომელნიც სულ იმის ცდაში არიან, თავის სურვილისიმებრ მოწველონ, გაკრიჭონ და გაატყავონ ხალხი. ხალხიც გალატაკდა ოროფეხა მგლებისაგან, ჩავარდა ვალებში, გული გაუტყდა, სულით დაეცა, სასოწარკვეთილებას მიეცა, მწარე ცხოვრებისაგან ჯან-მოქანცულმა გონებითაც უფრო მიიძინა და აღარა სწამს და სჯერა, მხოლოდ კუჭის მოსაბრუნებლად-ღა იბრძვის დღე და ღამე ცოდვა-მადლის განურჩევლად. ან-კი ცოდვა-მადლის გასარჩევად სადღა სცხელა, როდესაც გაჭირვება სულს უხუთავს, არჩობს და იმისათვის გულ-შემატკივარი და ცოცხალის სიტყვით ნუგეშის მცემელი არსაით არის, რომ მისს შავის სევდით მოღრუბლულ გულს ერთხელ მაინც გამოედარნა და ვარდივით გადაშლილიყო ტკბილის იმედით გამხნევებული თავისა და ქვეყნის საკეთილოდ. უწინ სხვა იყო: თვით დიდებულნი მეფე-სარდლებიც ხალხს ამხნევებდნენ, ისინი ხალხში იდგნენ დღე და ღამ და მოძღვრებივით უქადაგებდნენ: ხალხს უნერგავდნენ მტკიცე სიყვარულს თავ-განწირულის ვაჟკაცობისას, თავის სამშობლო მხარე-ქვეყნისას და თავის მოძმის ძმურად ძმობისას. მაშინ ქართველი მამაშვილურის მეფის სიტყვებით გალომებული თავს ხარსა სცემდა ერთი ათასსა, მედგრად იბრძოდა გამეხებული. არა თუ კაცნი, თვით დედაკაცნიც კაცის სამოსით იმოსებოდნენ და ბრძოლის ველზედ სჯულის გულისათვის სისხლსა ჰღვრიდნენ და მტერსა ჰმუსრავდნენ! სული მეტანჯვის და გული მიკვდება, როცა ვუყურებ დღეს ჩემს მოძმესა, და მწუხარებით თავს-ღა შევსჩივი: რანი ვყოფილვართ და რა ვართ დღესა!.. მიიცვალნენ ხალხში მოტრიალე დიდებული გმირები, გადაივიწყა ხალხმაც ათასი საგმირო და საქვეყნო საქმე და მიიძინა გონებით. აკი საქართველოს პოეტიც ამასა ჩივის და სტირის გულ-მდუღარედ: „ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როს-ღა გვექნება ჩვენ გაღვიძება?!“

დიაღ, რანი ვყოფილვართ და რა ვართ დღესა!... ხმლებით ჰმუსრავდნენ ცოტანი ბევრსა, ურჯულოს ჯარსა ადენდნენ მტერსა და საქართველოს ლომებრ იცავდნენ, არ გახდიდნენ ბატონად მტერსა! და მერე იცით, ვისის წყალობით?—მზესავით ბრწყინვალე მეფე ერეკლესთანა თავდადებულ გმირების წყალობით. მოიგონეთ სახელ-განთქმული ასპინძის ომი და მეფე ერეკლეს ბრძნული მჭევრმეტყველება, როდესაც იგი ამხნევებდა და ამზადებდა ბრძოლის ველზედ ურიცხვ მტერთან საომრად მისასვლელად თავისს პაწია ლაშქარს ასეთის ჰქა-ქუხილიანის სიტყვით: „გულოვანნო მხნენო ქართველნო, ჩემო გულის ძმანო! ეს ამისთანა გაჭირვებული ომი ჩვენს თავზედ პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, ასე სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა ვერ დაინახოს. ეს ჯაბანთა წესია. თქვენ წინ გადაწყვეტით ვაღიარებ, რომ დღეს უნდა გამოვესალმნეთ ჩვენს თავს, აქ უნდა გავწყდეთ... ჩვენს ცოლ-შვილში, სირცხვილით, დამარცხებით მივიდეთ. მერე რა პირს დაგვინახავენ ის ჩვენი კარგი დედაკაცნი?—შავსა, დამარცხებულს პირსა, და თან გვეტყვიან: აი თქვე ჯაბნებო, წადით, დაიკარგენით ჩვენგანო... აბა, ჩემო გულის ძმებო, მინამ იმათ წინ ამ სირცხვილით წარვსდგებოდეთ, გვიჯობს მამულისათვის ჩვენს წმინდა სიკვდილზედ, ჩვენს დაქცეულს სისხლზედ თმები ვაწეწინოთ. გავწყდეთ, ქართველებო! მეც აქ თქვენში ვიმყოფები, ერეკლე!“ —„გავწყდეთ, ერთიანად გავწყდეთ! დედა შეერთოს ცოლად, ვინც აქედგან უსიკვდილოდ დამარცხებული წავიდესო!“ ერთ-ხმად შესძახა ჰქა-გრგვინვით მეფის სიტყვით ცამდე აღფრთოვანებულმა ჯარმა თავის დიდებულს მეფეს და მართლაც ისე სახელოვანად გაიმარჯვეს, რომ საუკუნოდ იამაყებს იმ გამარჯვებით საქართველოს ისტორია.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ოლქს აულია ხელთ იარაღი და ფეხზედ წამომდგარა მტრის დასასჯელად. მთავრობას ვერ გაუბედნია, ჯერს ბრძანება გასცეს, რომ კვლავ შეეტაკენით სომხებს და დაიმორჩილეთ მეამბოხენიო.

## წვრილი ამბავი

პარიჟში ამ ახლო ხანს გაიმართება დედაკაცთა ხელსაქმის გამოფენა. საზოგადოდ დედაკაცებმა და უფრო-კი პარიჟის ქალებმა თავიანთი ნიჭი მოახმარეს უმეტესად ჩაცმა-დახურვას და გგრეძ წოდებულს, ტუალეტს ესე იგი პირისახის და საზოგადოდ თავის გაშნოიანების და გაკოპწიავების საქმეს. გამოფენაზედ იქნება არა მარტო ქსოვილი, დღეს მხოლოთ შემოღებული სამკაული და მორთულობა, არამედ გამოფენაზედ იქნება შეკრებილი ყოველივე, რასაც იცვამდა და იხურავდა პარიჟელი ქალი სხვა-და-სხვა დროს, 1793 წლიდგან დაწყებული დღემდე. გამოფენაზედვე შეიძლება ნახოს კაცმა, თუ როგორ იშნოიანებდა თავს პარიჟელი ქალი სხვა-და-სხვა დროს, რა იყო გუშინ-წინ, გუშინ და რა არის დღეს. ერთის სიტყვით, ეს გამოფენა დაანახვებს ქვეყანას სხვა-და-სხვა დროის სახეს—ტიპს პარიჟელის ქალისას. ამასთანავე ამ გამოფენას ექნება ის მნიშვნელობაც, რომ ქალები ბევრს რასმე სასარგებლოს ისწავლიან და მიხვდებიან და ნათლად დაინახავენ, თუ რას მოახმარა და შეალია თავისი ნიჭი, თავისი შემოქმედებითი ძალა მთლად მეორე ნახევარმა კაცობრიობისამ—დედათა სქესმა: მოახმარა ჩაცმა-დახურვას, თავის გაკოპწიავებას, რომ მოაწონოს თავი მამაკაცს. სხვას თითქმის არაფერს არ ხმარდება დღესაც შეძლებულის საზოგადოების დედაკაცის ნიჭი, მიხვედრილობა და გამჭრიახობა... ამაში უფრო მეტი დანაშაული პარიჟელ ქალებს მიუძღვით, რადგან იმათა ჰბაძვენ სხვა ქვეყნის ქალები ყოველისფერში მაიმუნურად.

—შვილი იმ შესანიშნავის გერმანელ მარშალის მანტეიფელისა, რომლის შესახებ ანეგდოტიცა გვქონდა ამას წინად წვრილ ამბებში დაბეჭდილი, ახალგაზდა მანტეიფელი დაუპატიმრებიათ ვალების გადაუხდელობის გამო.

## დეპეშა

19 სექტემბერი

**ბერლინი.** სამხედრო კანონ-პროექტი გუშინ-წინ წარედგინა პრუსიის სამინისტროს. ორის წლის ვადა სამსახურისა მიღებულია წესად მთელის ქვეითის ჯარისათვის, იმათ გარდა ვინც დაჯარიმებულ იქნებიან.

**სტამბოლი.** ოსმალეთის ელჩმა რუსტემ-ფაშამ გამოუცხადა ლორდ როზბერის, რომ ოსმალეთი თანხმაა დრუმონდვალფერის ხელ-შეკრულობას, რომლის ძალით ინგლისელებმა უნდა გაიყვანონ თავიანთი ჯარები ეგვიპტედგან.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ტერნერი დანიშნულ იქმნა სენატორად; ამიერ-კავკასიის და იმიერ კასპის ოლქისა-გამგებელი სააქციზო გარდასახადთა ბ-ნი მარკოვი დანიშნულ იქმნა გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტის დირექტორად.

პეტერბურგს ხოლერა ნელდება; გუშინ ავად გახდა 14, გარდაიცვალა 4, მორჩა 24. პროვინციებშიაც თანდათან ნელდება.

ოდესას 11—16 სექტემბერს ავად გახდა სულ 10, გარდაიცვალა 4. წმიდა სერგეი რადონეჟელის გარდაცვალების ხუთასი წლის შესრულებისა გამო საერო განათლების მინისტრმა განათავისუფლა სწავლისაგან ყველა სასწავლებლის მოწაფენი, სასწავლებლებში გადახდილ იქმნება წირვა და პარაკლისი და საუბარი გაიმართება ამ წმიდანის შესახებ.

20 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ იდღესასწაულეს უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის საბლერის სამსახურის ოც-დახუთის წლის შესრულება. მეიუბილეეს მიულოცა ბევრმა წარჩინებულმა სასულიერო, სამხედრო და სამოქალაქო წოდების კაცმა.

**პარიჟი.** აკადემიკოსი რენანი გარდაიცვალა.

სენტ-ეტიენის წვეულებაზედ ერთმა ორატორთაგანმა განაცხადა: სასურველია, რომ საფრანგეთში რუსეთს ახალი ბაზრები გაეხსნასო. ამის შესახებ ჟიულ როშმა სთქვა: მთავრობა ყოველს ღონეს ილონებს, რომ განაძლიეროს რუსეთთან ვაჭრობა, იმ სახელმწიფოსთან, რომელთანაცაო, დაუმატა მინისტრმა, ჩვენ დიდად დაახლოვებულნი ვართ არამც თუ მეგობრობით, არამედ ორისავე ერის ერთმანეთის თანაგრძნობითაცაო.

პეტერბურგის ბირჟა, 18 სექტ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,89 | 7,92 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 158 | 158 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 236 1/2 |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 217 1/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 191 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

#### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ოთხშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით-დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „


## განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—111)

გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:
**ბრძოლა**
**საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შესაერთებლად,**
ანუ
გიორგი სააკაძე და მისი დრო.
იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემს საზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

იოსებ ი. ვოკიელოვის მაღაზიაში
**ქუთაისში**
ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.
თითო 3 კაპ.
**ასობით** 2 მ.—50 კ.
აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.
(20—116—10)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი
**პანსიონი და სასწავლებელი**
ა. გ. მირზაშვილისა
იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყება 25 სექტემბრიდამ.
(50—8)

**ბუნების კარი**
დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ მეშვიდე გამოცემა, გადმობეჭდილი უცვლელად მეხუთე გამოცემიდგან, რომელიც სახელ-გაკეთებულია (рекомендовано) განათლების მინისტრისაგან როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიებისათვის“, და აგრეთვე უწმიდესის სინოდის მიერ. ფასი მკვიდრი და ლამაზი ყდით ოთხაბაზუზალთუნი (90 კაპ.), უყდოდ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცს ცალსა—თხუთმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს ცალსა—თოთხმეტ შაურად.
სხვა ქალაქებიდგან წიგნი უნდა დაიბარონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности, Банковскій Караванъ-Сарай, № 125 и 126.


ტფილ. გამოფენა.


ვერცხლისა


ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
**А. А. ТУТАЕВА.**
*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*
Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

**ძღძლო თუთაევის**
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
**ტფილისში:**
ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირასიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.
ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.
ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.
კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—36)